

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის 27-ე საერთო (საარჩევნო) კრება.
არქიტექტორ პავლე ძინძიბაძის საარჩევნო პროგრამის ძირითადი მიმართულებები

პროგრამის ძირითადი მიზანია არქიტექტორის, როგორც სპეციალისტის ავტორიტეტის რეაბილიტაცია, მისი პროფესიული ინტერესების დაცვა.

არქიტექტურის, როგორც ქვეყნის განვითარებისთვის ერთი მნიშვნელოვანი შემადგენლის პოპულარიზაცია.

არქიტექტორთა კავშირის წესდებაში ცვლილებების შეტანა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

პროფესიული საზოგადოების გააქტიურება, საზოგადოებრივი პროცესების მართვაში მონაწილეობის უზრუნველყოფა

მოქმედი სპეციალისტებისთვის თანაბარი შესაძლებლობების სივრცის შექმნა

ინტერესთა მიხედვით არქიტექტორთა გაერთიანებების ეფექტური მუშაობა, მათი პასუხისმგებლობის გაზრდა

არქიტექტურული კონკურსების აღიარებული სტანდარტებით, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება

დარგის საკანონმდებლო საქმიანობა

უცხოელ არქიტექტორთათვის საქართველოში პროფესიული მოღვაწეობის პირობების შემუშავება

საერთაშორისო პროფესიული ურთიერთობების გააქტიურება, პროექტირების აღიარებულ სტანდარტების ათვისება და დანერგვა

თემატური სემინარების და კონფერენციების რეგულარული ჩატარება

საზოგადოებრივი, სამთავრობო ორგანიზაციებისთვის, მოქალაქეებისთვის პროფესიული კონსულტაციების გაწევა

ქვეყნის აღმშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ პროფესიული დამოკიდებულების შემუშავება, საზოგადოებისთვის მიწოდება (პერიოდული გამოცემა, ინტერნეტი)

პროფესიული ეთიკის საკითხების წინა პლანზე წამოწევა, მათი მნიშვნელობის გაზრდა

კავშირის როგორც სახლის, ყველა არქიტექტორისთვის სასურველ სივრცედ, საქმიანი თუ საზეიმო შეხვედრების ადგილად ჩამოყალიბება

ახალი თაობის და გამოცდილი სპეციალისტების კონტაქტის, დაახლოების, ერთობლივ პროექტებზე მუშაობის შესაძლებლობების შექმნა



ქ.თბილისი 27.12.2017